დღეს ნომერში

- ფიზიკური კულტურის მოტრფიალე — მე-2 გვ.
- ნ. მოროზოვის ინტერვიუ — მე-2 გვ.
- მსოფლიო ჩემპიონის მაღლობა — მე-3 გვ.
- ელენიო ერერას აზრით.. — მე-4 გვ.

მე-2 გვერდში ჩვენ მოგითხრობთ ლანჩხუთელ პედაგოგზე, სპორტის ვეთერანზე მიხეილ წილოსანზე.

სურათზე: მ. წილოსანი და მისი ვაჟი თამაშობენ მაგიდის ჩოგბურთს.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 122 (3099) 26 1966 წ. ივნისი. კვირა. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოდის 22-ე წელი

26 ივნისი საბჭოთა ახალგაზრდობის დღეა!

გაუმარჯოს ჩვენს ჭაბუკებსა და ქალიშვილებს — მომავლის მფვერვალთა დამპყრობთ!

ო. ფხაკაძემ კვლავ გაიმარჯვა

ამსტერდამი, 24 ივნისი. ადგილობრივ ოლიმპიურ ტრეკზე გამართული საერთაშორისო შეჯიბრება შესანიშნავი ქართველი ველოსიპედისტის ომარ ფხაკაძის მორიგი გამარჯვებით აღინიშნა.

მსოფლიო ჩემპიონმა მოიგო სპრინტერული რბოლა ამსტერდამის დიდ პრიზზე, თანაც ბოლო 200 მეტრი 11,4 წამში დაფარა.

II ადგილი დაიკავა დ. მორელონმა (საფრანგეთი), ხოლო III — გ. ჯონსონმა (ავსტრალია). საბჭოთა ველოსიპედისტი ვ. ლოგუნოვი VI ადგილზეა.

ბრაზილია — პრიზიორები

პრაღა, 25 ივნისი. სტუდენტ - ძიუდოისტთა აქ მიმდინარე მსოფლიო ჩემპიონატის სტარტი აიღო 17 ქვეყნის 126-მა ათლეტმა. წარმატებით იჭიდავა კიმინიოვის უნივერსიტეტის სტუდენტმა ვ. გუცემ, რომელმაც მძიმე წონის ძიუდოისტთა ფინალში მხოლოდ ერთი ბრძოლა წააგო — 19 წლის იაპონელ მ. სინომაკისთან. საბჭოთა მოჭიდავემ ვერცხლის მედალი მოიპოვა, იაპონელმა კი — ოქროსი.

წარუმატებელი გამოდგა ჩვენი გუნდის მეორე მძიმეწონოსანის, მოსკოვის ენერგეტიკის ინსტიტუტის სტუდენტის ვ. ხოხლოვის გამოსვლა. იგი ტურნირს წინასწარი შეხვედრების შემდეგ გამოეთიშა.

ქვემძიმე წონაში ძიუდოს სამშობლოს წარმომადგენლებმა ჩვენს ათლეტებს გზა ნახევარფინალში გადაუღობეს: კიმინიოვის უნივერსიტეტის სპორტსმენმა ფ. ასლანიდისმა წააგო მ. სასაგავასთან, ხოლო გორის პედინსტიტუტის ათლეტმა ა. ქიბოროწამვილმა — ტ. სასახარასთან. საბჭოთა მოჭიდავეებს ბრინჯაოს მედლები გადაეცათ. ჩემპიონი გახდა იაპონელი, რომელმაც წმინდად დაამარცხა სასაგავა.

კიდევ 3 საპრიზო ადგილი დაიკავეს ამ ტურნირის დებიუტანტებმა — საბჭოთა ათლეტებმა. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები — რ. მაღალთაძე და ვ. ბორჩაშვილი (ქვესაშუალო წონა) კენჭისყრამ ნახევარფინალში შეაჩვედრა ერთმანეთს. გაიმარჯვა მაღალთაძემ, რომელმაც შემდგომ, ფინალში წააგო 20 წლის იაპონელ ი. სონოდასთან და „ვერცხლს“ დაჯერდა. ბორჩაშვილმა და ინგლისელმა სტრანგემ ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს.

საშუალო წონაში მსოფლიო ჩემპიონის წოდება კვლავ იაპონელმა დაიმსახურა — 20 წლის ი. კირიხარამ. ფინალში მან დაამარცხა გორელი ბ. ბაღაკაშვილი. ამ წონით კატეგორიაში სარატოველი ვ. პოკატაევიც გამოდიოდა, მაგრამ იგი წინასწარი ჭიდილის შემდეგ გამოეთიშა ტურნირს.

...ამბავს წინათ თბილისიდან

ექსპედიციის შემადგენლობაში არიან სპორტის ოსტატები ჯ. გუგავა, ჯ. კახიანი, შ. მარგიანი, გ. წერედიანი და სხვ.

ქართველი მთამსვლელები დალაშქრავენ ტიან-შანის მწვერვალებს. ისინი შეუტევენ სსრ კავშირის ერთ-ერთ უმაღლეს მწვერვალ „პობედას“ (7.439 მ), ვაჟა-ფშაველას პიკს (6.918 მ) და სხვ.

ამას წინათ თბილისიდან სპეციალური თვითმფრინავით შუა აზიაში გაფრინდა საქართველოს მთამსვლელთა ექსპედიცია, რომლის შემადგენლობაშია 21 სპორტსმენი. ექსპედიციის ხელმძღვანელია სპორტის ოსტატი ჯ. ყალაბეგიშვილი, ხოლო მოიერიშე ჯგუფის უფროსი — სპორტის დამსახურებული ოსტატი მ. ბერგიანი.

საქართველოს საუკეთესო მხატვრული ტანმოვარჯიშეები, თბილისის უნივერსიტეტის სტუდენტები (მარცხნიდან) — მეორე პრიზიორი ს. მაჭავარიანი, ჩემპიონი ნ. სალაძე და III ადგილის მფლობელი ლ. მამულია ვარჯიშის დროს.

ფოტო ზ. სვანიძისა.

ჯერ კიდევ...

ლენინგრადი, 24 ივნისი. დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის მძლეოსანთა მატჩიდან დაბრუნებულმა არმიელმა სპორტსმენმა ო. რაიკომ მონაწილეობა მიიღო ქალაქის პირველობაში და საკავშირო რეკორდიც დაამყარა: 1.000 მეტრზე რბენაში მისი შედეგია 2.02,2, რაც 0,1 წამით ჯობს მისივე თანაქალაქელის ვ. ბულიშოვის მიერ შარშან დამყარებულ რეკორდს.

პარიზი, 24 ივნისი. ზამთრის X ოლიმპიური ასპარეზობის დედაქალაქში — გრენობლში თამაშების გახსნამდე 1 წლით ადრე გაიმართება „ოლიმპიური კვირეული“. ეს შეჯიბრება (1967 წლის 8-19 თებერვალს) თითქმის თეთრი ოლიმპიადის პროგრამით ჩატარდება

მეხიკო, 25 ივნისი. მექსიკის დედაქალაქი მზად იქნება 1968 წლის ზაფხულის ოლიმპიადისთვის, — ასე განუცხადა აქ სტუმრად მყოფ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს ე. ბრენდეჯს ოლიმპიური თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ, მექსიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ა. ლ. მათეოსმა. ბრენდეჯი კმაყოფილი დარჩა უკვე დამთავრებული სპორტნაგებობებით.

ლიუცერნი, 24 ივნისი. შვეიცარიის ამ ქალაქში გუშინ ევროპის ჩემპიონი გახდა ბრაზილიელი ნ. პესოა. ცხენოსანთა ეს ასპარეზობა დიაა და ამიტომ მასში არაევროპული ქვეყნების წარმომადგენლებიც მონაწილეობენ. დაბრკოლებათა გადალახვაში პროგრამა იმდენად რთული იყო, რომ ოლიმპიური ჩემპიონი — ფრანგი პ. დ'ორიოლია მხოლოდ IX ადგილით დაკმაყოფილდა. წარუმატებლად გამოვიდნენ საბჭოთა მხედრები ე. შაბაილო და ვ. კარტავცკი. ამ უკანასკნელს ცხენი დაუშავდა და უკვე II ტურის შემდეგ იძულებული შეიქნა ასპარეზობა დაეტოვებინა. შაბაილო უკეთ გამოვიდა: მან XI ადგილი დაიკავა და ჩემპიონატის პრიზიორებში მოხვდა, ვინაიდან პირველობის ორგანიზატორებმა 12 მხედარი დაკრილდოეს.

სოფი, 25 ივნისი. ჩიგორინის ხსოვნისადმი მიძღვნილი ტრადიციული საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირის III ტურში წაიფორხილა ლიდერმა — სერგიევსკიმ. მან წააგო კორჩნოისთან. ლეინმა დაამარცხა პოლუგაევსკი, ბარცამ (უნგრეთი) — ორტეგა (კუბა), მატულოვიჩმა (იუგოსლავია) — ბობოცოვი (ბულგარეთი). ამ დილით, გადადებული პარტიების დამთავრებისას, მატულოვიჩმა მეორე ქულა აიღო — მოუგო ანტოშინს. ზახაროვ—ბერტოკის (იუგოსლავია), ვლადიმიროვ — სპასკის, ანტოშინ—კროგიუსის და ფუჩს (გდრ) — ბრადვარეევიჩის (იუგოსლავია) შეხვედრები ყაიმით დასრულდა. 3 ტურის შემდეგ ლიდერობენ ზახაროვი და მატულოვიჩი — 2,5 ქულა თვითეულს. მათ ნახევარი ქულით ჩამორჩებიან კორჩნოი, კროგიუსი, ლეინი და სერგიევსკი.

სტარტამდე ჯ კვირით ადრე

21 ივნისს სსრ კავშირის ფეხბურთელები მოსკოვიდან შვეიცარიაში გაფრინდნენ, სადაც ბოლო ვარჯიშებს ჩაატარებენ მსოფლიო ჩემპიონატის წინ. 12 ივლისს საბჭოთა გუნდი მიდლსბროში იწყებს პირველობის ფინალურ ეტაპს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ნაკრებთან შეხვედრით.

ნაკრების გამგზავრების წინ აახ-ის კორესპონდენტმა გუნდის უფროს მწვრთნელს ნ. მოროზოვს სთხოვა პასუხი გაეცა რამდენიმე შეკითხვაზე.

● მიგაჩნიათ თუ არა, რომ საბჭოთა ნაკრების ჯერ კიდევ დეკემბერში შედგენილი ვრცელი მოსამზადებელი გეგმა სწორი და მართებული იყო?

— ფედერაციის მიერ დასახული მოსამზადებელი გეგმა ჩვენი ნაკრებისა, წარმატებით იქნა გადაბრილი. ყველაფერი თავის რიგზე მიდიოდა. ნაკრები იგებდა და აგებდა კიდეც. აჩვენებდა კარგ ფეხბურთსაც და უხეიროსაც. რასაკვირველია, ჩვენ გვაქებდნენ და გვაგინებდნენ კიდეც. სხვაგვარად არც შეიძლებოდა. თავისი ანსამბლის ფორმირების პროცესში არც ერთ გუნდს არ შეუძლია მზადების ყველა ეტაპზე და ყველა მეტოქესთან სტაბილურად ითამაშოს.

მოსამზადებელი გეგმა ითვალისწინებს არა მარტო თვითეული ფეხბურთელის ფიზიკური კონდიციებისა და ტექნიკურ-ტაქტიკური უნარის სრულყოფას, არამედ გუნდის რგოლების ურთიერთმოქმედების დამუშავებას. შემადგენლობის ერთადერთი სწორი ვარიანტის მოძებნა, ჩემი აზრით, ყველაზე რთული საქმეა მწვრთნელისთვის. გვყავდა რა კანდიდატთა საკმარისი რაოდენობა, უფლება ჯერ გვქონდა რომელიმე მათგანი შეუმოწმებლად დაგვეტოვებია, არ გაგვესინჯა სხვადასხვა მნიშვნელობისა და მასშტაბის მატჩებში. ამიტომ წინასწარვე ვიყავით მზად მოგვესმინა ის საყვედურები, რაც ჩვენი მისამართით ისმოდა გაზაფხულზე, როცა გაგვიჭიანურდა ძირითადი შემადგენლობის ძიება.

● შეიძლება ითქვას თუ არა, რომ საძიებელს ბოლოსდაბოლოს მიაგენით?

— ჩემი აზრით, შევადგინეთ ანსამბლის საუკეთესო კომბინაცია იმ მოთამაშეთაგან, რომლებიც ჩვენს განკარგულებაში იყვნენ.

● თქვენ მართლაც დარწმუნებული ხართ, რომ კანდიდატთა სიაში უყველა საუკეთესო იყო?

— ვიმედოვნებ, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ!

● ესე იგი?

— ეს არაფერს ნიშნავს. ყოველ შემთხვევაში, დღეს, როცა ინგლისამდე თითქმის აღარაფერია დარჩენილი. უძლიერესთა ბიება დაუსრულებლად შეიძლება, მაგრამ მწვრთნელები დროის ფაქტორით არიან შეზღუდული. გარდა ამისა, ბოლო მომენტში იპოვო კიდევ ერთი მაღალი კლასის ფეხბურთელი და იგი სასწრაფოდ შეიყვანო შემადგენლობაში, სრულიადაც არ იძლევა გუნდის გაძლიერების გარანტიას. ასე რომ, არ ღირს გულშემატკივრებმა გაგვკიცხონ ან ჩვენ — მწვრთნელები, ან — საკუთარი თავი, თუ შუაგულ ივლისში ისინი ჩვენი ქვეყნის რომელიმე სტადიონზე აღმოაჩენენ ახალ თავდასხმელს, რომლის თამაში უფრო დამაჯერებელი მოეჩვენებათ, ვიდრე, ვთქვათ, მეტრეველის ან ბანიშვილისა.

● თქვენი სიტყვებიდან უნდა გამოვიტანოთ დასკვნა, რომ საბჭოთა ნაკრების ახალი ვარიანტი ხელს აძლევს მის მწვრთნელებს?

— ძირითადად კი. გუნდი სადღეისოდ გამოიყურება ფიზიკურად კარგად მომზადებულად, მობილურად და საკმარისად შეთამაშებულია. ჩემი აზრით, ბოლო მატჩებში საფრანგეთის ნაკრებთან და დანიაში მას არ უჩვენებია მთელი თავისი უნარი, ანუ, როგორც ჩვენ ვამბობთ ხოლმე, მთელი შესაძლებლობით არ უთამაშია. ლონდონში საბჭოთა ფეხბურთელები, რა თქმა უნდა, ბოლომდე გამოიყენებენ თავიანთ პოტენციურ რესურსებს და ეს უფლებას მაძლევს ვიმედოვნო, რომ გუნდი მაოფლიო ჩემპიონატში აჩვენებს კარგი კლასის ფეხბურთს.

● შეგიძლიათ თუ არა დაასახელოთ ის 11 უცნობი, რომლებიც 12 ივლისს გამოვლენ მიდლსბროს სტადიონის მინდორზე?

— რას ბრძანებთ! ამას არ გავაკეთებდი. დანამდვილებითაც რომ ვიცოდე ეს შემადგენლობა.

● მაშ არ იცით?

— არა.

● მაშინ დაგვისახელეთ მთავარი პრეტენდენტები ამ 11 ადგილზე.

— ყველა ისინი, ლ. იაშინის, მ. ხურცილავასა და გ. სიჭინავას გარდა, ფეხბურთის მოყვარულებმა უკვე იხილეს ლუჟნიკის მინდორზე 5 ივნისს, საფრანგეთთან მატჩის დღეს.

● რატომ ვერც ერთხელ ვერ ვნახეთ სსრ კავშირის ნაკრების მიერ მოსკოვში ჩატარებულ მატჩებში იაშინი?

— იაშინის ოსტატობა საყოველთაოდ ცნობილია, ხოლო მისი ამჟამინდელი ფორმა იმდენად კარგი გახლავთ, რომ არ იყო მისი ზედმეტად შემოწმების საჭიროება. მან რამდენიმე მატჩი ითამაშა მეზავრობისას მხოლოდ იმიტომ, რომ არ გამორთოდა საშეჯიბრებო რიტმს. დანარჩენ შეხვედრებში ჩვენ ვსინჯავდით ა. კავაზაშვილსა და ვ. ბანიკოვს, რომელთათვისაც ძლიერ მეტოქესთან ყოველი ზედმეტი მატჩი დამატებით გამოცდილებას წარმოადგენს ეს მათ მეტ დამაჯერებლობას შემატებს საკუთარ ძალებში. გულწრფელმა კი ვიტყვი რაიმე ეჭვი რომ არ დარჩეთ საბჭოთა ნაკრების კარის გუშაგზე, უნდა ვთქვა, რომ ჩვენი გამარჯვება ბელგიაში დიდად განაპირობა 37 წლის იაშინმა. მან ბრწყინვალედ ჩაატარა მთელი მატჩი, ხოლო თამაშის მიწურულში მოიგერია ბელგიელთა თავდამსხმელის მიერ საუკეთესო მდგომარეობიდან, თანაც 6 მეტრიდან დარტყმული უმიდერო ბურთი. ბრიუსელში იაშინმა ისევე ითამაშა, როგორც განთქმული მატჩი ლონდონის „უემბლიზე" და რომის „სტადიო ოლიმპიკოზე".

● მაგრამ კარის უხიფათობა ხომ მხოლოდ მეკარის ოსტატობა არაა. აქ საჭიროა დაცვის საიმედო თამაშიც. კმაყოფილი ხართ თუ არა მცველთა თამაშით?

— კიც და არაც. ყოველ შემთხვევაში, უფრო ნაკლებად, ვიდრე მეკარეთა თამაშით. დაცვაში მხოლოდ ა. შესტერნიოვი პასუხობს ყველა იმ მოთხოვნას, რომლებიც შეიძლება წაუყენოს მცველს თანამედროვე ფეხბურთმა. იგი სწრაფია, ტექნიკური, კარგად ირჩევს პოზიციას და შეუძლია დროზე მოეხმაროს პარტნიორს. ძალა და სიმაღლე შესტერნიოვს საშუალებას აძლევს დარწმუნებით აწარმოოს ძალისმიერი ორთაბრძოლა და, როგორც წესი, მოიგოს ჰაერში ბრძოლა. მაგრამ ერთი სტოპერი, უმაღლესი კლასისაც კი, ეს ჯერ არ არის დაცვა. შესტერნიოვს ცენტრში არა ჰყავს პარტნიორი, რომელიც მას საერთო კლასით უტოლდება. ერთ დროს „მარაკანაზე" ბრაზილიელებთან ჩატარებული მატჩის შემდეგ დიდ იმედებს ვამყარებდით ვ. აფონინზე. მან გაამართლა იგი, მაგრამ არც ისე, როგორც გვსურდა. დარჩენილ დროში აფონინმა იქნებ მიაღწიოს თავის უმაღლეს ფორმას, მაგრამ შეიძლება მის ადგილზე ინგლისში გამოვიდეს მ. ხურცილავა ან ა. კორნეევი, რომელმაც ამ სეზონში საუკეთესოდ ითამაშა „სპარტაკში" და სულ ახლახან მოვიწვიეთ ნაკრებში.

● უძლიერესებს თქვენ მაინც ბოლო მომენტამდე ეძებდით?

— კორნეევის ძებნა საჭირო არ იყო. მას დიდი ხანია ყველა იცნობს. კორნეევი უკვე თამაშობდა ნაკრებში და მხოლოდ დროებით დაკარგა ფორმა. ეს მან მიმდინარე სეზონში დაამტკიცა. თუ დავუერთებით ძიებას, მას მართლაც დიდხანს ვაწარმოებდით, რის შედეგადაც ნაკრებში შეიყვანდით ბაქოელი ე. მარქაროვი და კიეველი ვ. პარკუიანი.

— ჩვენმა საუკეთესო ნახევარმცველმა, უბრალოდ, გადაჭარბებით შეაფასა თავისი ძალები. რომელიღაც მომენტში მოეშვა, მთელი ძალ-ღონით აღარ ივარჯიშა და ბოლო თვეს გამოირკვა, რომ საკმარად დამძიმებულა, ადრინდელი სიმკვეთრე და სისწრაფე დაუკარგავს. მართალია, მან სწრაფად შეიგნო თავისი შეცდომა. დანიაში ვორონინი შესამჩნევად უფრო ძლიერად თამაშობდა, ვიდრე მოსკოვში. ვორონინის გამოცდილება და უნარი ვიცი და დარწმუნებული ვარ, რომ მსოფლიო ჩემპიონატის დასაწყისისთვის იგი თავის ჩვეულ ფორმაში ჩადგება.

● ნიშნავს თუ არა ეს, რომ ნახევარდაცვაში ძირითად იმედს ძველებურად ვორონინისა და ხაბოს დუეტზე ამყარებთ?

— თითქმის ასეა. ვორონინზე უკვე ვთქვი. ხაბო ჩემი ერთ-ერთი ყველაზე დიდი იმედია. იგი უმალვე შეეგუა ნაკრების ანსამბლში და ჩაატარა მოსამზადებელი ციკლის თითქმის ყველა მატჩი ი.ე., რომ არც ერთხელ არ დაუმსახურებია სერიოზული საყვედური. ინგლისის მინდვრებზე, სადაც ბრძოლას უდავოდ დაბალი და მკაცრი ხასიათი ექნება, თავისი საბრძოლო თვისებებით, ნებისყოფით, გამძლეობითა და ოსტატობით ხაბო დიდ სარგებლობას მოუტანს გუნდს. მას შეუძლია თამაში როგორც დაცვაში, ისე მინდვრის შუაგულში და მეტოქის კარის შტურმის დროსაც, რისი მისი შორეული ზუსტი დარტყმები შეიძლება გადამწყვეტიც აღმოჩნდეს. მაგრამ ვორონინსაც და ხაბოსაც ჰყავთ სრულფასოვანი რეზერვი: სერებრიანიკოვი და ხიტინსკი. ვფიქრობ, ინგლისის სტადიონებზე გამოვლენ მოწუწევს თვითეულს ამ ოთხეულიდან.

● თქვენ, უკვე თქვით, რომ ხაბოთა გუნდს ინგლისში მოუწევს ბრძოლა მასირებული, მკაცრი დაცვის წინააღმდეგ. რა იარაღი გაქვთ შემონახული ამ შემთხვევისთვის?

— ფეხბურთელთა სისწრაფე და მანევრება. რასაკვირველია, ეს ახალი აღმოჩენა არაა, მაგრამ მისი უსაფუძვლობა ჯერჯერობით არავის დაუმტკიცებია.

სსრ კავშირის ნაკრების თავდამსხმელთა ოთხეულს, ახალგაზრდა და ენერგიული ბანიშევსკის მეთაურობით, როგორც ეს ბოლო მატჩებმა გვიჩვენა, შეუძლია შეარყიოს ყოველგვარი მასირებული დაცვა და გოლები გაიტანოს, თუმცა, ბანიშევსკი და გამოცდილი მეტრეველიც კი ჯერ ერთობ იშვიათად იყენებენ აშკარა საგოლე შესაძლებლობებს. სწორედ ეს მადარდებს ყველაზე უფრო. ინგლისში ასეთი შანსი ცოტა გვექნება.

● როგორ გაქვთ წარმოდგენილი საბჭოთა თავდამსხმელების ოთხეული?

— მეტრეველი (დუბლიორი პარკუიანი), მალოფეევი ან მარქაროვი, ბანიშევსკი, ჩისლენკო ან პუსაინოვი. როგორი იქნება შეტევის ხაზი ჩემპიონატის სტარტზე, ამას არ გეტყვით.

● მაისური მეთერთმეტე ნომრით თქვენ მიეცით მარჯვენაფლანგელ ჩისლენკოს და უარი თქვით აწკარა ფავორიტზე — მიხეილ მესხზე. რატომ?

— მერწმუნეთ, ჩემთვის ძალიან ძნელი იყო ამ ნაბიჯის გადადგმა. მით უმეტეს, რომ ჩისლენკოს არასოდეს უთამაშია მარცხენა ფლანგზე. მაგრამ გავბედე და არ ვნანობ ამ ექსპერიმენტს. ჩისლენკო ისე ეფექტურად არ გამოიყურება ახალ ადგილზე, როგორც მესხი, მაგრამ მსოფლიო ჩემპიონატის პირობებში იგი, ჩემი აზრით, უკეთ ითამაშებს. მისი აგრესიულობა და აზარტი შეეფერება იმ ვირტუოზობას, რომელიც მესხს ახასიათებს.

● დაგვრჩენია მხოლოდ ის, რომ წარმატება გისურვოთ მსოფლიო ჩემპიონატში. რას გადასცემდით საბჭოთა გულშემატკივრებს, რომლებიც ასე გულწრფელად უსურვებენ გამარჯვებას თავიანთ ნაკრებს ლონდონში?

— მხოლოდ ერთს: რომ მათი იმედები გამართლებულიყოს. ნაკრების სახელით დავუმატებ — ყველაფერს ვიღონებთ, რაც კი შეგვიძლია.

იცნობდეთ, — სპორტის ამაგდარი!

ლანჩხუთის ფიზკულტურული კოლექტივი რომ ერთ-ერთი მოწინავეა რესპუბლიკაში, ეს პირველ ყოვლისა, სპორტსახმი რაიონის პატრიოტული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების დიდი ყურადღების შედეგია. მაგრამ გადაჭარბებული როდი იქნება თუ ვიტყვით, რომ საერთო წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის სპორტული სკოლის დირექტორს მიხეილ წილოსანს.

1949 წლიდან დღემდე მიხეილ წილოსანი ლანჩხუთის სპორტული სკოლის დირექტორია. იკრებს და ზრდის აქტივს, გულმოდგინედ ზრუნავს რაიონში მასობრივ-გამაჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლისთვის. სპორტსკოლაში იგი ტანვარჯიშის სექციასაც ხელმძღვანელობს. ლანჩხუთის მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა გუნდი ურიგოდ რომ ვარჯიშობს, ეს ყველამ იცის. ამ სპორტის ნამდვილ ენთუზიასტებს ჰყავთ ბრწყინვალე მასწავლებელი, რომელიც ყველა ნაბიჯზე ეხმარება მათ.



მიხეილ წილოსანი საცურაო აუზში ავარჯიშებს ნორჩ სპორტსმენებს.



მიხეილ წილოსანის „სპორტულ ბაზას" სტუმრები — საქართველოს მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა ნაკრების წევრები „დაეპატრონენ"...

●

მიხეილი ბავშვობიდანვე იყო ფიზიკური კულტურით გატაცებული. განსაკუთრებით ტანვარჯიში იზიდავდა და არავის გაჰკვირვებია, რომ სკოლის დამთავრების შემდეგ მან სწავლა ფიზკულტურის ინსტიტუტში განაგრძო. შემდეგ დიდი სამამულო ომი. რაიპსტაგის დამხმობას თითქმის აღარაფერი უკლდა, რომ ერთ-ერთი შეტევისას მიხეილი მკლავში დაიჭრა და ლანჩხუთს დაუბრუნდა. ჭრილობა მძიმე და სახიფათო აღმოჩნდა, მაგრამ სისტემატურმა და გააზრებულმა სტატუტის III კურსიდან გაწვრთნის საბჭოთა არმიაში და, რასაკვირველია, ვალის მოხდის შემდეგ სპორტს დაუბრუნდება; ქალიშვილი, მანანა, მეცხრეკლასელია და ტანვარჯიშზე ოცნებობს; 4 წლის ერეკლეს კი რომ ჰკითხოთ, მოცურავე უნდა გავხდეო, გიპასუხებთ.

ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ მიხეილის ოჯახში ხშირად იურიან თავს ლანჩხუთელი სპორტის მოყვარულები. თუმცა ამ თავშეყრას სხვა მიზეზიც აქვს. მიხეილის საკარმიდამო ნაკვეთს რომ საქმეში ჩაუხედავმა კაცმა გადახედოს, სპორტული ბაზა ეგონება: ორძელი, ღერძი, ტანვარჯიშული კიბე, ბაგირი, რგოლები, ნაირსიმაღლის ორძელი, კალათბურთის ფარი, ჩოგბურთის მაგიდა... მაგრამ მნახველი არ შეიძლება არ გააოცოს საცურაო აუზმა, რომელიც მიხეილმა შვილების დახმარებით მოაწყო შარშან ზაფხულს.

მიხეილმა თავი მოუყარა რაიონის ახალგაზრდების ჯგუფს და სისტემატურად ამეცადინებს ენთუზიასტებს ტანვარჯიშსა და ცურვაში. ვინ იცის, იქნებ ამ პატარა აუზმა ბევრს გაუღვივოს სპორტის სიყვარული და დიდი სარბიელისკენაც გაუკვლიოს გზა.

უყვარს თავისი საქმე მიხეილს, იმიტომ რომ ეს საშვილიშვილო საქმეა.

თ. კოკალეიშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).
ლანჩხუთი.



რგოლებზე ვარჯიშობს ზურაბ წილოსანი.

ფოტო მ. ზარგარიანისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ასპარეზობენ ლელობურთელები

ქობულეთის სტადიონზე ჩატარდა „კოლმეურნის" რესპუბლიკური პირველობის გათამაშება ლელობურთში შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ ჩოხატაურის, მახარაძის, გურჯაანის, წულუკიძის, ლანჩხუთისა და ადგილობრივი სპორტსმენები.

ტურნირი დამთავრდა ქობულეთის რაიონის ხუკუბნის კოლმეურნეობის ლელობურთელთა გამარჯვებით. მომდევნო ადგილებზე არიან მახარაძისა და ჩოხატაურის რაიონების წარმომადგენლები.

ე. მექვაბიშვილი.
ქობულეთი.

სტუმრად ჰადრაკის მეფესთან



დიდოსტატ ბ. სპასკისთან მატჩის დამთავრების შემდეგ ტიგრან პეტროსიანმა უამრავი დეპეშა მიიღო, მაგრამ ამ დღეებში, როცა ჰადრაკის მეფეს 37 წელი შეუსრულდა, მათმა რიცხვმა ერთიორად იმატა. მთელ მოსკოვში, ალბათ, ყველაზე ხმაურიანი ახლა ერთი ნათელი, მრავალსართულიანი სახლი იყო პიატნიცკის ქუჩაზე, სახლი, სადაც მსოფლიო ჩემპიონი ცხოვრობს.

მე გაზეთ „ლელოს“ რედაქციის სახელით, დილით მივულოცე პეტროსიანს დაბადების დღე და ვკითხე, როდის გინახულოთ, რომ ჩვენი მკითხველებისთვის რამდენიმე სიტყვა გვითხრათ-მეთქი.

— ჩემი თანამემამულეებისთვის? — მკითხა მსოფლიო ჩემპიონმა. — ჯობს ახლავე მოსვიდეთ, თორემ ხვალ, ალბათ, ერევანს მომიწევს გაფრენა.

... ჩემპიონის მეუღლე, მუდამ თავაზიანი, გულითადი ქალი, რონა იაკობის ასული კაბინეტში შემიძღვა. რაოდენ დიდი იყო ჩემი გაოცება, როცა ოჯახის უფროსი... ხაჭადრაკო მავიდასთან დავინახე. მსოფლიო ჩემპიონი მტკიცედ იცავს რეჟიმს ასეთი საპასუხისმგებლო მატჩის შემდეგაც კი.

— მალე, ალბათ, ლოს-ანჯელოსში უნდა წავიდე პიატიგორსკის ტურნირზე, — თითქოს ბოდიშის კილოთი მეუბნება მასპინძელი, — ამიტომ ფეხბურთში მსოფლიო ჩემპიონატს ვეღარ დავესწრები...

ფეხბურთი მსოფლიო ჩემპიონის მეორე სპორტული გატაცებაა. სწორედ ამიტომ ააღელვა იგი განსაკუთრებით თბილისის დინამოელთა მისალმების დეპეშამ. საქართველოდან ბევრმა მიუწერა პეტროსიანს გამარჯვება. — მათ შორის, სპორტის სასიკეთოდ, ვეტერანებმა ნინო დუმბაძემ, ელენე გოცირიძემ, ბორის პაიჭაძემ და ვახტანგ ჭელიძემ. ულოცავდნენ რესპუბლიკური

ჰ. ხაჩიძე.
(ჩვენი კორ.).

და თბილისის საჭადრაკო კლუბები. ერთი დეპეშა ლექსადაც კი იყო დაწერილი.

მაგრამ საქართველოდან მხოლოდ წერილები და დეპეშები როდი მოსდიოდა. პეტროსიანს თასებთან, პრიზებთან და სხვა „ალაფთან“ ერთად, საპატიო ადგილას დაუდგამს ჭადრაკის ნახევარმეტრიანი ეტლი მსოფლიო ჩემპიონის სურათით. ეს თბილისის 26 კომისრის სახელობის რაიონის მცხოვრებთა ერთი ჯგუფის საჩუქარია.

— რას იტყვით, ტიგრან ვართანოვიჩ, არის თუ არა კანონზომიერი, რომ ორსავე მსოფლიო საჭადრაკო ტიტულს საქართველოში აღზრდილი მოჭადრაკეები ფლობენ?

— რა თქმა უნდა! სხვათა შორის, ნონამაც ხომ მეორედ შეინარჩუნა ექ ტიტული და დარწმუნებული ვარ, კვლავაც დიდხანს არ დათმობს. საქართველო შესანიშნავი, დიდი საჭადრაკო ტრადიციების ქვეყანაა. მახსოვს, სამამულო ომის წლებშიც კი იყრიდა ხალხი თავს საჭადრაკო კლუბში რუსთველის პროსპექტზე. ამ პროსპექტთან ბევრი რამ მაკავშირებს იქ დგას ოფიცერთა სახლი, რომლის ეზოშიც ვცხოვრობდი და პიონერთა სასახლე, სადაც ჭადრაკის თამაშს ვსწავლობდი. საჭადრაკო წრეს მაშინ ოსტატი არჩილ ებრალიძე ხელმძღვანელობდა. იგი მკაცრი პოზიციური სტილის მოჭადრაკე იყო. მისი კერპი კაპაბლანკა გახლდათ და მე, რაღა თქმა უნდა, ვცდილობდი ჩემი მასწავლებლისთვის მიმებაძა.

პეტროსიანი მოგონებებს მიეცა, ერთ ხანს გაჩუმდა და ისევ განაგრძო:

— თბილისში შარშან ნოემბერში ჩავედი ტაღ — სპასკის მატჩზე. მერე აღარ ვყოფილვარ. ახლა, ტურნირის შემდეგ შემომთავაზეს საქართველოში დაისვენეთ. ამ მიწვევით, პირველივე შესაძლებლობისთანავე ვისარგებლებ.

... ჩვენი საუბარი ტელეფონის ზარმა გაწყვიტა. მასპინძელმა ბოდიში მოიხადა და ყურმილი აიღო, „გმადლობთ“, — თქვა და ლაპარაკი ქართულად გააგრძო. მერე ისევ ჩემთან ჩამოჯდა და ამიხსნა:

— ერთი ჩემი ქართველი მეგობარი რეკავდა.

— ქართულად ლაპარაკი არ დაგვიწყნიათ. წერა?

მსოფლიო ჩემპიონმა ფურცელი აიღო, მცირე ხანს ჩაფიქრდა და ნელა შეუდგა წერას. აი, რა დაწერა მან:

დიდ მადლობას ვიხდი საღამოს
ყოველი ჩემ თანამემამულეებსა და
გაზეთ „ლელოს“ ყველა მკითხველს, მგზავრ
ტურისტა და მოლოდინებისათვის
ტიგრან პეტროსიანი.

„ლელოს“ ინტერვიუ

აქა აქვაქი ტიგრან IX ლა ნონა V ვეთრელ გამეუებისა

არის ჭადრაკში ხელმწიფე, არ ოდეს წამგებიანი —
დიდოსტატების რისხვა და ჭკვიანთა შორის ჭკვიანი;
ჩემპიონობას ულოცავს თბილისის ზეცა მზიანი,
სახელი მისი — ტიგრანი, გვარია პეტროსიანი.

სხვა არვინ უშის გვერდზედა, მართ ოდენ მარტო ასული,
ქალთა და ვაჟთა დამლეწი, ჰაპტინგსში ვეფხად ნასული...
მისთა მეტოქედ წარული გული, გონება და სული,
ვახტანგ ვაზირის პირმშო და დაუძლეველი ასული.

ესე ეს ორი ხელმწიფე არს ჩვენთან დანაბადია,
ერთსა სასახლეს გაზრდილნი, დაჰყვათ ჩვენი ცის მადლია...
დღეს საჭადრაკო ოლიმპზე გვირგვინოსანნი ადიან,
ლეკვი ლომისა ჩვენია, ძუ იყოს თუნდა ხვადია!

ტექსტი და ნახატი ჭარელოს კასრაძისა.

მეგობრული შარუი.

ექ

„ლელოს“ ტურნირი

გათამაშების ცხრილი

I ჯგუფი

მდგომარეობა 26 ივნისისათვის

	თ.	მ.	ფ.	წ.	ბ.	ქ.
„ჟალგირისი“ (ვილნიუსი)	13	8	2	3	23—13	18
„შუგანი“ (კრასნოდარი)	13	6	5	2	18—6	17
„ტექსტილშჩიკი“ (ივანოვო)	13	8	5	2	19—12	17
„თერგი“ (გროზნო)	14	5	6	3	12—13	16
„დაუგავპა“ (რიგა)	13	5	5	3	21—11	15
„ლოკომოტივი“ (თბილისი)	13	4	7	2	17—12	15
„რუბინი“ (უჯანი)	13	6	3	4	13—11	15
„დინამო“ (ციროვაბადი)	13	4	5	3	12—9	14
„ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი)	13	5	4	4	14—16	14
„დინამო“ (სტავროპოლი)	14	5	3	6	9—12	13
„სპარტაკი“ (ნალჩიკი)	13	4	4	5	10—14	12
„დინამო“ (ბათუმი)	13	4	3	6	12—15	11
„სპარტაკი“ (გომელი)	13	3	5	5	7—12	11
„ბალტიკა“ (კალინინგრადი)	12	3	5	5	7—13	11
„დინამო“ (ტალინი)	13	3	4	6	11—13	10
„რუსტელმაში“ (როსტოვი)	13	1	6	6	6—17	8
„შირაკი“ (ლენინაკანი)	14	1	5	8	10—22	7

ჩოხატაური

მოეწყო მოსწავლე ფეხბურთელთა რაიონული პირველობის გათამაშება. ერთმანეთს შეეჯიბრნენ ჩოხატაურის, განახლების, ერკეთის, ხიდისთავის, შუაგანაღების, საჭმიანერისა და ჯოხნარის ნორჩი სპორტსმენები. I ადგილი წილად ხვდათ ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის წარმომადგენლებს.

დ. გურგენიძე.

რუსთავი

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პირველობაზე საამქროების 20 გუნდი იბრძოდა.

ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ საფასონო-საჭამომსხმელო და მეტალურგიულ მოწყობილობათა საამქროების ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს პირველებმა — 2:1.

რ. გაბრიჭიძე.

„ტყავის გურთის“ პრიზზე

სოხუმი

ნორჩ ფეხბურთელთა საოლქო გათამაშების ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ პრიზის შარშანდელი მფლობელი „ტალღა“ (გუდაუთა) და „ოცნება“ (გულრიფშის რაიონი). ეს ორი გუნდი აღმოჩნდა საუკეთესო იმ 150 კოლექტივს შორის, რომლებმაც დაიწყეს ბრძოლა „ტყავის ბურთის“ პრიზისათვის.

მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 2:2. დამატებით დროში გულრიფშელებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და მოიპოვეს გამარჯვება — 3:2.

შ. ჯალაღონია.
(ჩვენი კორ.).

ჯუთაისი

ხაინტერესო ბრძოლით აღინიშნა გადამწყვეტი მატჩი, რომელსაც უნდა გამოევლინა რესპუბლიკური ფინალური შეჯიბრების მონაწილე. ერთმანეთს შეხვდნენ ჯუთაისელები („ვარსკვლავი“, მესხიშვილის ქუჩა) და წყალტუბოელები („სიჭაბუკე“, წერეთლის ქუჩა).

გამარჯვება წილად ხვდა „ვარსკვლავს“, სადაც კარგი თამაშით გამოირჩეოდნენ ბ. ფარულავა, ჯ. კოსტავა, ვ. ხომიაკოვი, რ. ჯავახაძე, რ. ჯანელიძე და სხვ.

შ. ნიჟარაძე.
(ჩვენი კორ.).

ზესტაფონი

ფეროშენადნობთა ქარხნის სტადიონზე ფეხბურთის მოყვარულებმა იხილეს ხაინტერესო მატჩი „ტყავის ბურთის“ პრიზზე, რომელსაც უნდა „დაუსახელებინა“ ფინალისტი რესპუბლიკის დედაქალაქში მომავალ გადამწყვეტ შეჯიბრებებში მონაწილეობისთვის. ერთმანეთს შეხვდნენ „აისი“ (ზესტაფონი) და „თაიგული“ (ლანჩხუთი).

ანგარიშით 2:0 მატჩი მოიგო „აისმა“.

ა. განუგრავა.
(ჩვენი კორ.).

რესპუბლიკური გათამაშების ფინალი

პირველი დღე — 26 ივნისი

„დინამოს“ სტადიონი

10 საათზე. „დელისი“ (თბილისი) — „პატარა გარეჯი“ (საგარეჯო).
11 საათზე. „ოცნება“ (ახალციხე) — „წინსვლა“ (სამტრედია).
18 საათსა და 30 წუთზე. „სიხარული“ (ხაშური)—„ვარსკვლავი“ (ქუთაისი).

„ლოკომოტივის“ სტადიონი

10 საათზე. „გაზაფხული“ (აჭარა) — „აისი“ (ზესტაფონი).
11 საათზე. „ფოლადი“ (თბილისი) — „მერცხალი“ (ზუგდიდი).

ჭადრაკი

კურაიცა თუ ჯინჯიხაშვილი?

ასე დაისვა ერთპიროვნული ლიდერის საკითხი IV ტურის წინ. თამაშის დაწყებამდე კურაიცას წინა ტურში გადადებული პარტია დაუთმო გიორგაძემ, რითაც იუგოსლაველი ჭაბუკი 3 ქულით ლიდერი გახდა.

IV ტურში კურაიცამ დაამარცხა პოპოვი (ბულგარეთი), ჯინჯიხაშვილმა — გიორგაძე, ბუსლაევმა — უბილავა, მინიჩმა (იუგოსლავია)— უიტქეკი (ჩეხოსლოვაკია), ყაიმით დასრულდა ველიმიროვიჩ (იუგოსლავია) — კოლაროვის (ბულგარეთი) პარტია.

ამრიგად, IV ტურის შემდეგ კურაიცას 4 ქულა აქვს, ხოლო ჯინჯიხაშვილს — 3,5. ხვალ, V ტურში ერთმანეთს ხვდება ეს ორი ლიდერი.

(ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.).
ბათუმი.

გუშინ...

ფოტოამბები უცხოეთიდან...

სურათზე: ლონდონის „ჩელსის“ ცენტრალური თავდამსხმელი ბრიჯესი ერთ-ერთი შეტევისას თავზე ახტება „შეფილდ უენსდეის“ მეკარე სპრინჯეტს. ეს მოხდა ინგლისის თასის ნახევარფინალურ მატჩში.



ავსტრალიელი ჩოგბურთელი თ. ედისონი ეხმარება მის თანამემამულე ჯ. კოტრილს, რომელსაც შეჯიბრებისას ფეხი გაეხსკვა. ეს მოხდა ინგლისის ღია ჩემპიონატში. მასაჟის შემდეგ კოტრილმა თამაში განაგრძო, მაგრამ წარუმატებლად: გამარჯვება ედისონს დარჩა.



აი, ასეთი საშინელებაა კეტჩის ერთ-ერთი ნაირსახეობა — თავისუფალი სტილის ვრესტლინგი. დანიელმა რასმუსენმა ფეხებშუა მოიჭცია მეტოქე და კარგა მაგრადაც დაზილა.

საფრანგეთის დედაქალაქის მსახიობთა და ჟურნალისტთა გუნდების შეხვედრამ ფრენბურთში დიდი ინტერესი გამოიწვია. მოედანზეცა და ტრიბუნებზეც ბევრი „ვარსკვლავი“ იყო. მათ შორის, ბრიჟიტ ბარდო, კრისტინ კარონი, ფრანკ ფერნანდელი და სხვ.

სურათზე: ბ. ბარდო გამარჯვებას ულოცავს ცნობილ მსახიობ ბ. ზაგურის.

ბრაზილიელთა ვატერლოო?

მილანის „ინტერნაციონალეს“ მწვრთნელი ე. ერერა ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში მომემსახურება იტალიის მთელ რიგ სააგენტოებს. პოპულარულ მწვრთნელსა და ფეხბურთის ერთ-ერთ თვალსაჩინო თეორეტიკოსს ძირითადად დავალებული აქვს დაწეროს მიმოხილვითი ხასიათის მასალები. იტალიელ მკითხველებს მან უნდა გააცნოს ყველა ის სიახლე, რაც ფინალისტებს ერთმანეთისთვის ეჩვენებათ შემონახული სიურპრიზების სახით.

ამას წინათ ერერამ რომაელ კორესპონდენტებს ინტერვიუ მისცა, რომელშიც ფართოდ შეეხო მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის ფინალს. მწვრთნელის აზრით, ოქროს მედლების მთავარ ფავორიტთა — ბრაზილიელთა შანსები ერთობ პრობლემატურია. ერერას მიაჩნია, რომ მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ძალიან შეცდება, თუ მარტოდმარტო პელეზე ააგებს თამაშს. ეს ვარიანტი კრახით დამთავრდება, ვინაიდან „შავი მარგალიტი“ თითქმის ყველა მეტოქისთვის, განსაკუთრებით კი ევროპული გუნდებისთვის, უკვე ამოხსნილი საიდუმლოებაა. ბრაზილიამ ნისლიანი ალბიონის ქვეყანაში უნდა აჩვენოს მთელი თავისი, ასე ვთქვათ, ერთობლივი უნარი.

— მართალია, — თქვა შემდეგ ერერამ, — მსოფლიო ჩემპიონს ჰყავს მეორე პელე (ლაპარაკია ამარილდოზე. — რედ.), რომელსაც პირადად მე მეტისმეტად მაღლა ვაყენებ, მაგრამ შეძლებს თუ არა იგი პასუხსაგებ მატჩებში ისევე თავისუფლად თამაშს, როგორც საკონტროლო შეხვედრებში, ძნელი სათქმელია.

ბოლო დროს ბევრს ლაპარაკობენ გარინჩაზე. ამბობენ, მან მთლიანად აღიდგინა ძველი სპორტული ფორმაო. მართალი გითხრათ, ეს სინამდვილედ არ მომაჩნია, მაგრამ თუ გარინჩას „აღორძინება“ ჰქმარიტებაა, მაშინ ბრაზილიელებს თავი ქუდში ჰქონიათ. ხაქმე ისაა, რომ პელე, გარინჩა და ამარილდო (ძველებურ ფორმაში) სავსებით საკმარისია საიმისოდ, რომ ბრაზილიელებმა თავიანთი ტაქტიკა შეცვალონ სისტემით 4—3—3.

ვინ გაუწევს ბრაზილიელებს ყველაზე მძაფრ წინააღმდეგობას? მხოლოდდამხოლოდ ევროპის გუნდები და, პირველ ყოვლისა, გფრ-ის და ინგლისის ნაკრები კოლექტივები. ისინი მსოფლიო ჩემპიონებს სამკვდრო - სასიცოცხლო ბრძოლას გაუმართავენ და შეიძლება, ჩვენ ბრაზილიელთა ვატერლოოს მოწმენიც გავხდეთ. მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რომ გფრ ან ინგლისი მოიგებს ქიულ რიმეს თასს. საპატიო ჯილდოს მოპოვების თანაბარი შანსი სულ ცოტა 5-6 გუნდს აქვს.

მსოფლიო ჩემპიონატი ინგლისში
WORLD CUP
დარჩა 15 დღე

JULY 11 to 30
1966
ENGLAND

პირველობის ირგვლივ

● **ლონდონი.** ინგლისის გაზეთმა „ჰიპლმა“ გამოაცხადა, რომ ჩემპიონატის საუკეთესო მთავარშეს გადასცემს სპეციალურად დაწესებულ ოქროს თასს, რომელიც 30 სმ სიმაღლისაა.

● **პარიზი.** ჟურნალი „ფრანს-ფუტბოლი“ მსოფლიო ჩემპიონატზე გზავნის 10 კორესპონდენტს. ერთ-ერთი მათგანია წარსულში ცნობილი თავდამსხმელი ჟ. ფონტენი.

სპეციალისტები მიკროფონებთან

ინგლისური ტელე-რადიოკომპანია ბი-ბი-სის ოფიციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ 30 ივლისის ფინალურ მატჩს მსოფლიო პირველობაზე თავის ცისფერ ეკრანებთან ნახავს 29 ქვეყნის 400 მილიონი ტელემაყურებელი. მან დაუმატა აგრეთვე, რომ ჩემპიონატის 3 კვირის მანძილზე „ტელემაყურებლები მიიღებენ 50 საათ ფეხბურთს“.

საინტერესოა ასეთი ფაქტი: ბი-ბი-სი დიდი ხნის განმავლობაში აწარმოებდა მოლაპარაკებას ინგლისის ფეხბურთის მოწინავე სპეციალისტებთან, რათა ისინი მთელი რიგი მატჩების კომენტატორებად გამოსულიყვნენ. ახლა ცნობილი გახდა, რომ ეს მოლაპარაკებანი წარმატებით დამთავრდა.

კერძოდ კომენტატორთა შორის იქნება კაცი, რომელსაც „ინგლისური ფეხბურთის მამას“ უწოდებენ. ლაპარაკია სახელმოხვეჭილ მწვრთნელ უოლტერ უინტერბოტომზე, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა ინგლისის ერთეულ ნაკრებს და მრავალი გამარჯვება მოუპოვა მას. უინტერბოტომის გადადგომა თავის დროზე მიჩნეულ იქნა თითქმის როგორც „ამ ქვეყნის“ ეროვნული ტრაგედია“.

კომენტატორებად გამოვლენ, აგრეთვე: ცნობილი ფეხბურთელი ბილი ოუენი, რომელსაც ეროვნულ ნაკრებში მატჩების სარეკორდო რაოდენობა აქვს ნათამაშები, ნაკრების ყოფილი კაპიტანი ჯონი ჰეინსი, „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ ყოფილი „ვარსკვლავი“, ამჟამად გაზეთ „სანდი ტაიმსის“ მიმომხილველი დენი ბლენჩფლაუერი, ხოლო მწვრთნელთა და მენეჯერთაგან — ტომი დოჰერტი („ჩელსი“), ჯო მერსერ („მანჩესტერ-სიტი“), დონ რევიე („ლიდსი“), რონ გრინვუდი („ვესტ ჰემ იუნაიტედი“), ჯიმი ჰილი („კოვენტრი“).

ჯეკი ჩარლტონი ინგლისის ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი

ფეხბურთი

ტელეკრანებზე

საკავშირო ტელევიზია აწარმოებს ფეხბურთში მსოფლიო პირველობის მატჩების ტრანსლაციას. მოგვყავს გადაცემათა პროგრამა (თბილისის დროით).

11 ივლისი. 22 საათი და 30 წუთი. ჩემპიონატის გახსნა.
23.15. ურუგვაი — ინგლისი.
12. 22.30. სსრკ — კორეა.
24.15. ბრაზილია — ბულგარეთი.
13. 22.30. იტალია — ჩილი.
24.15. უნგრეთი — პორტუგალია.
15. 22.30. ბრაზილია — უნგრეთი.
16. 18.00. სსრკ — იტალია.
20.00. პორტუგალია — ბულგარეთი.
19. 22.30. ბრაზილია — პორტუგალია.
20. 22.30. სსრკ — ჩილი.
24.15. ბულგარეთი — უნგრეთი.

ფეხბურთი

ემოციებით...

◆ **ვარბერგი,** 25 ივნისი. სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ ჩაატარა საწვრთნელი მატჩი ადგილობრივ გუნდთან და გაიმარჯვა — 5:1 (2:0).

საბჭოთა ნაკრები ასეთი შემადგენლობით თამაშობდა: ბანიკოვი, გეტმანოვი, კორნეევი, აფონინი, ოსტროვსკი, საბო, სერებრიანიკოვი, პარკუიანი, მარქაროვი, მალოფეევი, ჩისლენკო.

შემდეგი შეხვედრა ჩვენს გუნდს აქვს 29 ივნისს შვეიცის ახალგაზრდულ ნაკრებთან.

◆ **სოფია,** 24 ივნისი. ბულგარეთის ფეხბურთელთა ნაკრები აქ შეხვდა ევროპის ქვეყნების თასების ფლობელთა თასის წლევანდელ გათამაშებაში გამარჯვებულს, დორტმუნდის „ბორუსიას“ (გფრ). გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 1:0. ერთადერთი გოლი 47-ე წუთზე გაიტანა კიტოვმა. მატჩს დაესწრო 25 ათასი მაყურებელი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ოქტომბრის სპორტულ ბიზნესზე

ფეხბურთი. „დინამოს“ სტადიონი. **სსრ კავშირის პირველობა.** „ა“ კლასი. „დინამო“ (თბილისი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი). დღეს — დუბლშემადგენლობანი, ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. მატჩების დასაწყისი 19 ს. 30 წ. 28 ივნისი. „ა“ კლასი (II ჯგუფი). „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „სპარტაკი“ (ნალჩიკი). დასაწყისი 19 ს.

ფრენბურთი. ქალაქის სპორტკავშირის მოედნები (ცლებანოვის პრ. № 117). **26-28 ივნისი. საქართველოს პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის.** დასაწყისი 10 ს. და 17 ს.

საწყალოსნო სპორტი (საბაიდარო ნიჩბოსნობა და კანოე). წყალსომარდობის სადგური თბილისის ზღვაზე. **დღეს — სამატჩო შეხვედრა საქართველო — მოლდავეთი.** დასაწყისი 11 ს.

სასტენდო სროლა. „მონკავშირის“ სასროლეთი (ვაკე). **დღეს — სამატჩო შეხვედრა საქართველო — აზერბაიჯანი.** დასაწყისი 10 ს.

ტყვიის სროლა. აეროპლანის სასროლეთი. **26-28 ივნისი. მოზარდთა რესპუბლიკური შეჯიბრება.** დასაწყისი 10 ს.

პირველია ე. ზატოპეკი

პრაღა, 24 ივნისი. ჩეხოსლოვაკიაში გამართული კონკურსი — „სპორტსმენი, რომელმაც საერთოდ ყველაზე დიდი წარმატებები მოიპოვა“ — მოიგო აწლო წარსულში სახელგანთქმულმა სტაიერმა ემილ ზატოპეკმა. მან ჩამოიტოვა ამ წოდების ისეთი პრეტენდენტები, როგორც ტანმოვარჯიშე ვერა ჩასლავსკა, ფეხბურთელი ფრანტიშეკ პლანიჩკა, ციგურებით ფიგურული სრიალის ოსტატები ლუდმილა პახომოვა და ალექსანდრ გორშკოვი.

ИНДЕКС 66448 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 01630